დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები	
თავმჯდომარე:	ვახტანგ ბოგველიშვილი
წევრები:	ქეთევან ჯანელიძე
	თამილა გრძელიშვილი

(თბილისი, 2022 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი“
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს
საიდენტიფიკაციო კოდი: 245409838
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

II. ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება
■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

■ გეგმიური
☐ არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
აღმზრდელი	56	20	1
ბუღალტრული აღრიცხვა	56	38	4
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	28	23	-
საბაჟო საქმე	48	14	1
საექთნო განათლება	72	66	9
ფარმაცია	56	56	1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

IV. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 23 მარტის #301522 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ვახტანგ ბოგველიშვილი, წევრები - ქეთევან ჯანელიძე და თამილა გრძელიშვილი (დარგის ექსპერტი), დაევალა შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო განათლება" 31-ე მუხლის-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შემოწმება (გეგმიური მონიტორინგი). ამ მიზნით, 2022 წლის 6, 7 და 8 აპრილს შედგა ვიზიტი შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N3-ა). ვიზიტამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა და არსებული გარემოებების გათვალისწინებით შეადგინა დღის წესრიგი. ვიზიტის პირველ დღეს ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და განიხილეს მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია; განიხილეს მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების და მათი დაინტერესებული მხარეების მიერ გაზიარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს; შეისწავლეს სტრატეგიული დაგეგმვის მტკიცებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და მათი მონიტორინგისა და შეფასების მტკიცებულებები, გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს; განიხილეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს; შეისწავლეს პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მიღებული განათლების აღიარების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პრაქტიკა და მტკიცებულებები, პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრაქტიკა, შეამოწმეს პროფესიულ სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულებები და პორტფოლიოები (შემთხვევითი შერჩევის პრინციპით), გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს; შეისწავლეს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების მტკიცებულებები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის პრაქტიკა და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს; განიხილეს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის შედეგების ანალიზი, მათი პრაქტიკაში გამოყენების საკითხები, გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს; შედგა გასაუბრება პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელ პირთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

ვიზიტის მეორე დღე დაეთმო: სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

მოთხოვნების განხილვასა და გასაუბრებას პასუხისმგებელ პირებთან; ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის განხილვასა და გასაუბრებას პასუხისმგებელ პირებთან; პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შესწავლასა და გასაუბრებას პასუხისმგებელ პირებთან; პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული პრაქტიკის შესწავლასა და გასაუბრებას პასუხისმგებელ პირებთან; ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვას, გასაუბრებას ადმინისტრაციასთან; ასევე, მე-5 სტანდარტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვასა და გასაუბრებას პასუხისმგებელ პირებთან.

ვიზიტის მესამე დღეს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების ინფრასტრუქტურა; განიხილა საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“, დაათვალიერა პროგრამის მატერიალური რესურსი და გაესაუბრა პასუხისმგებელ პირებს; ასევე გაესაუბრა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პირებს, შეისწავლა პირადი საქმეები და პერსონალის დატვირთვის მექანიზმების გამოყენების პრაქტიკა; შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომების, შედეგებისა და განვითარების პრაქტიკა და გაესაუბრა პასუხისმგებელ პირებს; განიხილა ვერიფიკაციის შედეგები და შემდგომი ღონისძიებები, გაესაუბრა პასუხისმგებელ პირებს; შეისწავლა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები და გაესაუბრა პასუხისმგებელ პირებს; გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დღეების განმავლობაში ექსპერტთა მიერ მოთხოვნილი რიგი დოკუმენტაციისა დაწესებულებას არ წარმოუდგენია, რაზეც ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებასთან კოორდინაციით შეადგინა აქტი, სადაც მოცემულია ჩამონათვალი იმ დოკუმენტებისა, რაც მოთხოვნილ იქნა ექსპერტთა მხრიდან, მაგრამ დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია. აქტის შინაარსის ნამდვილობას ხელისმოწერით ადასტურებენ ექსპერტთა ჯგუფის წევრები და დაწესებულების დირექტორი. ხსენებული აქტი წარმოადგენს აღნიშნული დაკვნის დანართს.

ვიზიტის დასასრულს, ექსპერტებმა შეაჯამეს გაწეული სამუშაო და ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
1.1) პსდ-ს მისია		სრულად შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება		მეტწილად შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა		სრულად შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები		სრულად შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა		მეტწილად შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება		მეტწილად შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა		არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები		სრულად შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები		სრულად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

შენიშვნა: პირველი სტანდარტი შეფასდა მეტწილად შესაბამისად, რადგან 1.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისად სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე სტანდარტი - სრულ შესაბამისად, მეოთხე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისად, რადგან 4.1 და 4.2 კომპონენტები შეფასდა მეტწილად შესაბამისად სტანდარტის მოთხოვნებთან და მეხუთე სტანდარტი - შეუსაბამოდ, რადგან 5.1 კომპონენტი შეფასდა შეუსაბამოდ სტანდარტის მოთხოვნებთან.

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

VIII. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

5.1.2.3 - დაწესებულებას არ წარმოუდგენია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული საკითხი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაშიც არ არის ასახული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

IX . სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

აღსანიშნავია, რომ დასკვნის პროექტში რიგი საკითხებისა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა ხარვეზად. შპს ბათუმის დამოუკიდებელმა სასწავლებელმა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ასახულია ხარვეზების გარკვეული ნაწილის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, მტკიცებულებები, პერიოდი და სხვ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის შესაბამისობის გეგმის თანახმად, რომელსაც იზიარებს ექსპერტთა ჯგუფი, დაწესებულება „მეტწილად შესაბამისია" შემდეგ საკითხებთან მიმართებით:

1.2.1.3 - დაწესებულებას სამოქმედო გეგმაში არა აქვს განსაზღვრული საჭირო რესურსები.

1.2.2.1- დაწესებულება არ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

1.2.2.2 - დაწესებულება არ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. შესაბამისად, არ დგინდება რეაგირების ფაქტი.

2.2.1.4 - ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. პროგრამას ხელმძღვანელობს ექიმი-იმუნოლოგი. პროგრამის ხელმძღვანელი არ არის დარგის სპეციალისტი, მას არ გააჩნია დარგობრივი კომპეტენცია, რაც დასტურდება მასთან ინტერვიუირებითაც.

4.1.1.3 - კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს (იხ. ინდიკატორის აღწერა).

4.2.1.1 - დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფისთვის არ წარმოუდგენია ადმინისტრაციული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები, შესაბამისად პსდ არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5.1.1.4 - შენობა-ნაგებობა არაა უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით.

5.1.1.7 - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი არ ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

5.1.2.1 - დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიწერილობა, თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების ვადები ამოწურულია. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ აღარ მიუმართავთ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის ხელმეორედ შემოწმებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, დაწესებულებას არ წარმოუდგენია კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ.

5.1.2.4 - დაწესებულებას გარე პერიმეტრსა და შენობის პირველი სართულის მარცხენა ფლიგელში არ აქვს დამონტაჟებული ვიდეოკამერები.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები მოიყვანოს სისრულეში, მითითებული ვადების გათვალისწინებით. შესაბამისობის გეგმის თანახმად, ყველა არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია მიმდინარე წლის ივლისი.

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.2.1.1 - დაწესებულებამ უზრუნველყოს განხორციელებული აქტივობების (სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება) დოკუმენტირება (მაგალითად: შექმნას შეხვედრის ხელმოწერის ფურცლები, შეხვედრის ოქმები და სხვა). ეს მიდგომა განავრცოს სხვა ტიპის აქტივობებზეც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2.2.1.6 - სასურველია, კოლეჯმა კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ (საჭიროების შესაბამისად).

3.2.1.2 - დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები, ასევე განსაზღვროს კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ფუნქციები ამ საკითხთან დაკავშირებით (იხ. ინდიკატორის აღწერა).

3.2.1.3 - დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს კოლეჯში დამკვიდრებული ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები, სხვადასხვა ადმინისტრაციული წარმოების ვადები.

3.2.1.5/3.2.2.4 - პროცესის ყოველთვის დადებითი შეფასება შესაძლოა არ გამორიცხავდეს შეფასების მეთოდების/კვლევის/კითხვარების რელევანტურობის საკითხს. სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს იმ კითხვარებს და მეთოდებს, რომლებსაც იყენებს აღნიშნული კვლევისას.

3.2.2.3 - დაწესებულებამ დოკუმენტურად შეიმუშავოს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგია, სადაც ასახავს იმ აქტივობებს რასაც რეალურად ახორციელებს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

4.1.1.1 - დაწესებულებამ ცალკე შეიმუშაოს პერსონალის სამუშაო აღწერილობები, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი თანამდებობის დასახელება, სტრუქტურული ერთეული, (არსებობის შემთხვევაში), შესასრულებელი დავალებები (ფუნქციები), სამუშაოს პირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ა.შ.

5.2.1.2 - დაწესებულებამ გაწეროს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის რეგულაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5.2.1.3 - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების მხრიდან მათი თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებები წარმოება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე (იხ. ინდიკატორის აღწერა).

XI. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

დაწესებულებას მისიით დეკლარირებული აქვს, რომ თავისი საქმიანობით ხელი უნდა შეუწყოს პროფესიული განათლების განვითარებასა და პოპულარიზებას, პიროვნების პროფესიულ განვითარებას, მისი კარიერის ჩამოყალიბებასა და დასაქმებას; მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრები; უზრუნველყოს დამსაქმებლებთან სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორული ურთიერთობა და ჩართოს ისინი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. შესაბამისად, დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან.

დაწესებულების მისიაა: „შპს ,,ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი" პროფესიული განათლების განვითარებითა და პოპულარიზებით უზრუნველყოფს საზოგადოების წინსვლას, პიროვნების პროფესიულ განვითარებას, მისი კარიერის ჩამოყალიბებასა და დასაქმების ხელშეწყობას; სასწავლებელი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ამზადებს პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციურ კადრებს". ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი მისია არის ზოგადი. მასში არ არის დაკონკრეტებული დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), არ ჩანს განმასხვავებელი ნიშნები. შესაბამისად, მისიით არ არის განსაზღვრული დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი) და მისი მახასიათებლები, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან. ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის პროექტში ასახა აღნიშნული ხარვეზი. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრული იყო აღნიშნული ხარვეზის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, მტკიცებულებები, პერიოდი და სხვა. თუმცა, დამატებით, დაწესებულებამ მ/წლის 31 მაისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გაუგზავნა წერილი, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის თაობაზე და განახლებული მისია გამოაქვეყნა კოლეჯის ვებ-გვერდზე. ხსენებული ცვლილების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან.

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე, განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.დაწესებულების მისიიდან გამომდინარე, განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. დაწესებულების მისია დეკლარირებულია 2022 წლის 12 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებულ „2022 წლის სამოქმედო გეგმაში". აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია მხოლოდ დაწესებულების მისია და რამდენიმე მიზანი. მისია და მიზნები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://biu-profcollage.ge/89/images/aqtebi/misia.pdf) და დაწესებულების ფოიეში თვალსაჩინო ადგილას. ხედვა და ღირებულებები არ იყო განთავსებული დაწესებულების ვებ-გვერდზე. ვიზიტის პერიოდში ხედვა

და ღირებულებები განთავსდა დაწესებულების ვებ-გვერდზე (http://biu-profcollage.ge/89/images/xedva1.pdf). როგორც ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, აღნიშნული მისია, ხედვა, ღირებულებები შემუშავდა 2019 წელს, როდესაც დაწესებულებამ გაიარა ავტორიზაცია. შესაბამისად, მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების მტიცებულებები მათ არ აქვთ, რადგან 2019 წელს არ იყო მტკიცებულებების დაცვის ვალდებულება.

მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2022 წლის 12 იანვრის №1 დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „2022 წლის სამოქმედო გეგმით“;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულების ვირტუალურ სივრცეში ხელმისაწვდომი მისია;
- მისია და მიზნები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://biu-profcollage.ge/89/images/aqtebi/misia.pdf);
- ხედვა და ღირებულებები განთავსებულია დაწესებულების საიტზე (http://biu-profcollage.ge/89/images/xedva1.pdf);
- http://biu-profcollage.ge/;
- დაინტერესებულ მხარეებთან, პროცესში მათი ჩართულობის გადასამოწმებლად ჩატარებული გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის №1 ბრძანებით (შესულია ცვლილებები დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის №24 ბრძანებით) და ერთწლიანი 2022 წლის სამოქმედო გეგმა (დამტკიცებული 2022 წლის 12 იანვრის №1 დირექტორის ბრძანებით).

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ (დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის №20 ბრძანებით დამტკიცებული). დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი, თუ როგორ ხდება სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება, სტრატეგიული გეგმის მომზადება და განხილვა, სტრატეგიული გეგმის დამტკიცება, სამოქმედო გეგმის შედგენა, გეგმების შესრულების მონიტორინგი, ანალიზი და შესაბამისი ცვლილებების მომზადება. ინტერვიუს დროს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სტრატეგიული გეგმის ცვლილება და 2022 წლის სამოქმედო გეგმა შემუშავდა თანამონაწილეობითი პროცესით, სამუშაო ჯგუფის ჩართულობით და დამტკიცდა დირექტორის მიერ. ამის მტკიცებულებად, დაწესებულებამ წარმოადგინა ფოტომასალა, სადაც ასახულია ადმინისტრაციის შეკრება. ხოლო წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის (2019-2025) დამტკიცებისას კოლეჯი სარგებლობდა ძველი რეგულაციით. განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს განხორციელებული აქტივობების (სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება) დოკუმენტირება (მაგალითად: შექმნას შეხვედრის ხელმოწერის ფურცლები, შეხვედრის ოქმები და სხვა). ეს მიდგომა განავრცოს სხვა ტიპის აქტივობებზეც.

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

ინტერვიუს დროს დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ისინი ერთმანეთს უზიარებენ საჭირო ინფორმაციას. შემუშავებაში, გარდა ადმინისტრაციის წევრებისა, მონაწილეობენ ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლები, სტუდენტები და პარტნიორი ორგანიზაციების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

წარმომადგენლები. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

დაწესებულების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის №1 ბრძანებით, შესულია ცვლილებები დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის №24 ბრძანებით) მოიცავს მისიასთან თავსებად ხუთ მიზანს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და ინფორმაციას პასუხისმგებელი პირების შესახებ. სტრატეგიული მიზნები შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან; სტრატეგიული ამოცანები ემსახურება სტრატეგიულ მიზნების მიღწევას. შესრულების ინდიკატორები ზომავს სტრატეგიული ამოცანების მიღწევას. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტატეგიული გეგმიდან და განსაზღვრულია მისიასთან თავსებადი მიზნები, ამ მიზნების შესაბამისი აქტივობები, განხორციელების ვადები და შესრულების ინდიკატორები, მითითებულია პასუხისმგებელი პირები. დაწესებულებას სამოქმედო გეგმაში არ აქვს განსაზღვრული საჭირო რესურსები, რაც ექსპერტთა მხრიდან შეფასდა ხარვეზად და აისახა დასკვნის პროექტში. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, მტკიცებულებები, პერიოდი და სხვ.

შესაბამისობის რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები დაწესებულებამ მოიყვანოს სისრულეში, მითითებული პერიოდის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმით (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის №1 ბრძანებით, შესულია ცვლილებები დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის №24 ბრძანებით);
- უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული ერთწლიანი 2022 წლის სამოქმედო გეგმით (დამტკიცებული 2022 წლის 12 იანვრის №1 დირექტორის ბრძანებით);
- „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ (დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის №20 ბრძანებით დამტკიცებული);
- დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებით, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესებში მათი ჩართულობის გადასამოწმებლად;
- შეხვედრების ამსახველი ფოტომასალით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ (დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის №20 ბრძანებით დამტკიცებული), რომელშიც გაწერილია მონიტორინგის განხორციელების მექანიზმები. დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი გულისხმობს გეგმის შესრულებაზე თვალყურის დევნებას, დაკვირვების შედეგების გაანალიზება/შეფასებას. მონიტორინგის საშუალებით ნაკლოვანებისა და განუხორციელებელი აქტივობის დროულ აღმოჩენას და შემდეგ მათზე რეაგირებას. მონიტორინგის პროცედურა ითვალისწინებს ანგარიშების წარდგენით, ინფორმაციის გამოთხოვას პასუხისმგებელი პირებიდან ან/და ღია შეხვედრებზე საკითხების განხილვას. დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული გეგმის გადახედვა უნდა განხორციელდეს სულ მცირე ყოველ 3 წელიწადში ერთხელ. დაწესებულებას არ განუხორციელებია რეგულაციით გათვალისწინებული მონიტორინგი. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება არ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, რაც აისახა კიდეც ხარვეზად დასკვნის პროექტში. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, მტკიცებულებები, პერიოდი და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

შესაბამისობის რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობა დაწესებულებამ მოიყვანოს სისრულეში, მითითებული პერიოდის გათვალისწინებით.

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დაწესებულებას არ განუხორციელებია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. შესაბამისად, არ დგინდება რეაგირების ფაქტი, რაც ექსპერტთა მხრიდან შეფასდა, როგორც ხარვეზი და აისახა დასკვნის პროექტში. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, მტკიცებულებები, პერიოდი და სხვ.

შესაბამისობის რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობა დაწესებულებამ მოიყვანოს სისრულეში, მითითებული პერიოდის გათვალისწინებით.

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, კერძოდ, ატვირთულია კოლეჯის ვებ-გვერდზე (http://biu-profcollage.ge/89/index.php/about-joomla/2014-04-05-11-16-10).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ (დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის №20 ბრძანებით დამტკიცებული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

- კოლეჯის ვებ-გვერდზე ატვირთული სამოქმედო გეგმის ანგარიშებით (http://biu-profcollage.ge/89/index.php/about-joomla/2014-04-05-11-16-10);
- გასაუბრებით ადმინისტრაციის სამსახურის წარმომადგენელთან და ხარისხის მართვის სპეციალისტთან, საჯაროობაზე პასუხისმგებელ პირებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათი მხრიდან უკუკავშირის უზრუნველყოფის გადასამოწმებლად, რეაგირების ფაქტების გადასამოწმებლად, წლიური ანგარიშების ხელმისაწვდომობის თაობაზე.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

დირექტორის 5/02/2019 №9 ბრძანებით დამტკიცებულია (შეტანილია ცვლილება დირექტორის 17/01/2022 №2 ბრძ.) „პროფესიული განათლების წესდება“, რომლის თანახმად უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. კერძოდ, გაწერილია მობილობის წესი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/სტატუსის აღდგენა; ფორმალური განათლების აღიარება; ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. ამავე დროს, პროფესიული სტუდენტებს უფლება აქვთ საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით. ამავე წესში გაწერილია სსსმ პირების უფლებების, ინდივიდუალური გეგმების შედგენის და სხვა საკითხები. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მომსახურების წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 12

დეკემბრის №24 ბრძანებით). აღნიშნული მექანიზმები დაწესებულებას ვებ-გვერდზეც აქვს განთავსებული და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს წვდომა მის შინაარსზე. ამ წესების პრაქტიკაში გამოყენების გადამოწმების მიზნით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითად შესწავლილ იქნა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის და აღდგენის შემთხვევები, როგორც სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების, ისე არასრულწლოვანების შემთხვევებშიც. ისინი შესრულებული იყო სათანადოდ, რაც ადასტურებს, რომ დაწესებულება იცავს საკუთარი მარეგულირებელი წესების მოთხოვნებს.

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს. პროფესიული სტუდენტი კოლეჯთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ იცნობს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს (პროფესიული განათლების წესდება) და შინაგანაწესს. ინტერვიუს დროს კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი ატარებენ როგორც სწავლის დაწყებისას ისე შემდგომ პროცესში საჭიროებისამებრ საინფორმაციო შეხვედრებს. სტუდენტებმაც ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ მათ წესებს აცნობენ და სარგებლობენ ამ უფლებით. შესაბამისად, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

სტუდენტის შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი გაწერილია კოლეჯის „პროფესიული განათლების წესდებაში“ (თავი 16. პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის შედეგის დადასტურების/შეფასების აპელაციის პროცედურა). აღნიშნულ მექანიზმებს სტუდენტები ეცნობიან სწავლის დაწყებისას შეხვედრაზე. სწავლის პროცესში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათთვის ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირები არიან პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროგრამის ხელმძღვანელები. პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ ისინი იცნობენ შეფასების და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა განაცხადეს , რომ მათ ამ დრომდე არ დაჭირვებიათ შედეგების გასაჩივრების მექანიზმით სარგებლობა. აქედან გამომდინარე, პროფესიული სტუდენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლებენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.
კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტებს შორის დადებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვის მექანიზმებს. არასრულწლოვანის შემთხვევაში დაწესებულება ხელშეკრულებას აფორმებს მის კანონიერ წარმომადგენელთან.

5. **პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**
აღნიშნული მექანიზმები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 5/02/ 2019 №9 ბრძ.დამტკიცებულ (შეტანილია ცვლილება დირექტორის 17/01/2022 №2 ბრძ.) „პროფესიული განათლების წესდებაში“ (მუხლი 13. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა). დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განაცხადებს, რომ ინდივიდუალური გეგმების შედგენას ახორციელებენ აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად. ამის მტკიცებულებად კოლეჯმა წარმოადგინა შემუშავებული ინდივიდუალური გეგმები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დადასტურდა, რომ გეგმები შედგენილია დაწესებულების რეგულაციების დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 5/02/ 2019 №9 ბრძ.დამტკიცებულ (შეტანილია ცვლილება დირექტორის 17/01/2022 №2 ბრძ.) „პროფესიული განათლების წესდებით“
- კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

- გაცნობითი/საინფორმაციო ხასიათის შეხვედრის მტკიცებულებებით;
- პროფესიული სტუდენტების კითხვარებით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით;
- პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

პროფესიული განათლების წესდებაში გაწერილია სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის, სტუდენტური პროექტების განხორციელების, მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობისა და მომსახურების მექანიზმები. დაწესებულების თითოეულ პროფესიულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს დაწესებულებისგან შესაბამისი კონსულტაცია და მხარდაჭერა სალექციო ცხრილებთან, სასწავლო პროცესის ვადებთან, პრაქტიკის კომპონენტთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. სტუდენტები მიმართავენ პროგრამის ხელმძღვანელებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული საგანმანათლებლო პროცესში, მიმართავენ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, ხარისხის სამსახურს. დაწესებულებას შექმნილი აქვს სოციალურ ქსელში შიდა დახურული ჯგუფები, რომლის მეშვეობითც ახორციელებს კომუნიკაციას სტუდენტებთან და ახდენს საჭიროების შემთხვევაში მათ კონსულტირებას. პროფესიულ სტუდენტებს ასევე შეუძლიათ კონსულტაციები მიიღონ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან. კოლეჯი ახორციელებს სტუდენტების კმაყოფილების კვლევას, რისთვისაც იყენებს როგორც წინასწარ შემუშავებულ კითხვარებს, ასევე სატელეფონო გამოკითხვის ფორმას. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ისინი იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

პროფესიული განათლების წესდებაში გაწერილია სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის, სტუდენტური პროექტების განხორციელების, მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობისა და მომსახურების მექანიზმები. შესაბამისად,

პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი მოდულის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებელთან ერთად. ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ ადაპტაციის ერთ-ერთი მექანიზმი არის სწავლის დასაწყისში გამართული შეხვედრების კვირეული. სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კოლეჯის წარმომადგენლები მათ აცნობენ მარეგულირებელ წესებს, ათვალიერებინებენ გარემოს. პასუხობენ მათ დასმულ კითხვებს. პროფესიული სტუდენტები მიღებულ ადაპტაციის სერვისებს აფასებენ დადებითად.
განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები, ასევე განსაზღვროს კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ფუნქციები ამ საკითხთან დაკავშირებით.

3. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.
პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დროს მიმართოს კოლეჯის ადმინისტრაციას, სასწავლო პროცესიდან დროებით გათავისუფლებასთან, მობილობასთან, ცნობის მოთხოვნასთან, სტატუსის შეჩერება/აღდგენასთან დაკავშირებით. ისარგებლოს კონსულტაციით ან დაწეროს განცხადება დირექტორის სახელზე, რასაც ეძლევა შესაბამისი მსვლელობა. დაწესებულებაში სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერაზე უშუალოდ პასუხისმგებლები არიან პროგრამის ხელმძღვანელები და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი.
ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ადმინისტრაციული მხარდაჭერა მიმდინარეობს გონივრულ ვადებში, მოთხოვნილი მხარდაჭერის მიზნებიდან გამომდინარე და პროფესიული სტუდენტები მიღებულ ადმინისტრაციულ სერვისებს აფასებენ დადებითად. მათ განაცხადეს რომ აქვთ ინტენსიური კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელებთან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომ კონსულტაციის მიღება შესაძლებელია სატელეფონო თუ ინტერნეტ კომუნიკაციითაც და ამ მხრივ არავითარი პრობლემა ან შეფერხება არ შექმნიათ. პროფესიული სტუდენტები მხარდაჭერის სერვისებს აფასებენ დადებითად. ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან. მათ განაცხადეს, რომ ხდება პროფესიული სტუდენტებისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და კონსულტაციის გონივრულ

ვადაში გაწევა.
განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს კოლეჯში დამკვიდრებული ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები, სხვადასხვა ადმინისტრაციული წარმოების ვადები.

4. დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

კოლეჯში შექმნილია სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის მუშაობას კოორდინაციას უწევს ერთ-ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი. თვითმმართველობას ჰყავს საბჭო, რომელშიც ათზე მეტი სტუდენტია გაერთიანებულია.

თვითმმართველობას აქვს კულტურული ღონისძიებების და სპორტული ღონისძიებების სექტორები. საბჭოს წევრებს წარმოადგენენ სტუდენტები. შემუშავებულია თვითმმართველობის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით ხორციელდება სხვადასხვა ტიპის აქტივობები. კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ ადმინისტრაცია ძალიან კეთილგანწყობილია, აქვთ მეგობრული და თანამშრომლობითი ურთიერთობა. დაწესებულება ყოველთვის მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს და აქტივობებს, მაქსიმალურად ყველა ჩართულია აღნიშნულ აქტოვობებში. ერთ-ერთი პროექტი , რომელიც თვითმმართველობამ განახორციელა, იყო თამაში „რა, სად, როდის“ და სხვა ღონისძიებები. ამ და სხვა განხორციელებული პროექტების ამსახველი ფოტომასალა სიახლეების სახით განთვსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე. აქედან გამომდინარე, დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.
დაწესებულება ატარებს მიზნობრივ კვლევებს კითხვარებისა და პირისპირ ინტერვიუს გამოყენებით. ასევე აწყობს შეხვედრებს ფოკუს-ჯგუფებთან პირისპირ, ან ონლაინ რეჟიმში. ამისათვის კოლეჯს შემუშავებული აქვს მიზნობრივი კითხვარები. თვალსაჩინოებისათვის დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტების მიერ შევსებული მატერიალური რესურსების, საბიბლიოთეკო რესურსების, მოდულების განხორციელების კვლევისათვის განკუთვნილი კითხვარები და შედეგების ანალიზები. ინტერვიუს დრო ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კვლევის შედეგების ანალიზის თანახმად, ჯერ უკმაყოფილო გამოხმაურება არ ყოფილა და შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით არც რეკომენდაციები არ შეუმუშავებიათ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

არც ცვლილებები განუხორციელებიათ.

ინტერვიუს დროს პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულება ყოველთვის რეგირებს პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირზე და ცდილობს გააუმჯობესოს მათი მომსახურეობა.

განმავითარებელი რეკომენდაცია: პროცესის ყოველთვის დადებითი შეფასება შესაძლოა არ გამორიცხავდეს შეფასების მეთოდების/კვლევის/კითხვარების რელევანტურობის საკითხს. სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს იმ კითხვარებს და მეთოდებს, რომლებსაც იყენებს აღნიშნული კვლევისას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გასაუბრებით დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიულ სტუდენტებთან არსებული და მიღებული სერვისების რელევანტურობის თაობაზე;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარებით;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშით;
- თვითმმართველობის სამოქმედო გეგმით
- ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული, სხვადასხვა აქტივობების ამსახველი ფოტომასალითა და ინფორმაციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.

დაწესებულებაში სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურებას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე. ინტერვიუს დროს პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის ხელმძღვანელები ხელს უწყობენ მათ დასაქმებას. სტუდენტთა უმრავლესობა სხვადასხვა კომპანიებში გადიან სტაჟირებას, ხოლო დასრულების შემდეგ დაიწყებენ მუშაობას. დასაქმების შესახებ ინფორმაციას დაწესებულება აწვდის საინფორმაციო შეხვედრებზეც. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ისინი მიღებულ კარიერულ სერვისებს აფასებენ დადებითად. შესაბამისად, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.

2. დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მუდმივად ახორციელებენ კომუნიკაციას პოტენციურ დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან. დაწესებულებას უკავშირდებიან სხვადასხვა დაინტერესებული ბიზნეს სუბიექტები, რათა იპოვნონ სასურველი კადრი ორგანიზაციაში არსებული ვაკანსიისათვის. კოლეჯის ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას მუდმივი კავშირი აქვს რეგიონში არსებულ პოტენციურ დამსაქმებლებთან. მათგან ღებულობენ ინფორმაციას არსებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, რასაც პირადად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

სატელეფონო ან/და სოციალური ქსელების საშუალებით აწვდიან სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, რომლებიც მიღებულ კარიერულ სერვისებს აფასებენ დადებითად. შესაბამისად, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. დაწესებულება პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

როგორც ინტერვიუს დროს გახდა ცნობილი, დაწესებულება ახორციელებს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევას კითხვარების გამოყენებით. სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევისათვის იყენებს სატელეფონო ინტერვიუს ფორმასაც. აღინიშნა ისიც, რომ კურსდამთავრებულთა კვლევა საკმაოდ პრობლემატურია, რადგან ხშირად სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთვრებულები იცვლიან ტელეფონის ნომრებს, ხშირად არ იძლევიან უკუკავშირს ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილ შეტყობინებებზე. მიუხედავად ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა კურსდამთავრებულების დასაქმების კვლევის შედეგები და კვლევის მაჩვენებლები. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ამ მექანიზმს სისტემატიურად იყენებს, თუმცა კვლევის მეთოდოლოგია დოკუმენტურად გაწერილი არ აქვს. აქედან გამომდინარე, დაწესებულება პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ დოკუმენტურად შეიმუშავოს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგია, სადაც ასახავს იმ აქტივობებს რასაც რეალურად ახორციელებს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

ინტერვიუს დროს ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კარიერული მომსახურების კვლევის შედეგების ანალიზის თანახმად, ჯერ უკმაყოფილო გამოხმაურება არ ყოფილა და შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით არც ცვლილებები არ განუხორციელებიათ.

განმავითარებელი რეკომენდაცია: პროცესის ყოველთვის დადებითი შეფასება შესაძლოა არ გამორიცხავდეს კითხვარების რელევანტურობის საკითხს. სასურველია დაწესებულებამ გადახედოს იმ კითხვარებს, რომლებსაც იყენებს აღნიშნული კვლევისას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარებით;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების და კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის შედეგებითა და ანალიზით;

ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან მიღებული მხარდაჭერით კმაყოფილების თაობაზე, კვლევის ჩატარების ფაქტთან დაკავშირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 7 თებერვლის №10 ბრძანებით (შესულია ცვლილებები: დირექტორის ბრძანება №25/ს 27 აგვისტო, 2021 წ.) დამტკიცებულია ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები. აღნიშნულ ფუნქციებში ერთგვარად მოიაზრება პერსონალის სამუშაო აღწერილობებიც. შესაბამისად, პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ ცალკე შეიმუშაოს პერსონალის სამუშაო აღწერილობები, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი თანამდებობის დასახელება, სტრუქტურული ერთეული, (არსებობის შემთხვევაში), შესასრულებელი დავალებები (ფუნქციები), სამუშაოს პირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარებისა (2019-2025 წწ.) და 2022 წლის სამოქმედო გეგმებში განსაზღვრულია დაწესებულების ძირითადი მიზნების და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, ფუნქციების შესაბამისად. დაწესებულების თანამშრომელთა შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კოლეჯში სასწავლო პროცესის, პერსონალის პროფესიული განვითარების, ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით დაწესებულებაში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც წარმოადგენენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დირექტორი. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 7 თებერვლის №10 ბრძანებით (შესულია ცვლილებები: დირექტორის ბრძანება №25/ს 27 აგვისტო, 2021 წ.) დამტკიცებულია ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული განათლების წესდების თანახმად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას უზრუნველყოფს ვერიფიკაციის ჯგუფი. შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ხორციელდება ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით. ვერიფიკაციისას გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმები. ვერიფიკაციის მიზნით, კოლეჯის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის ჯგუფი. აღნიშნული ჩანაწერიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, რაც დაფიქსირდა ხარვეზად დასკვნის პროექტში. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, მტკიცებულებები, პერიოდი და სხვ.

შესაბამისობის რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები დაწესებულებამ მოიყვანოს სისრულეში, მითითებული პერიოდის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 7 თებერვლის №10 ბრძანებით (შესულია ცვლილებები: დირექტორის ბრძანება №25/ს 27 აგვისტო, 2021 წ.) დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- კოლეჯის სტრატეგიული (2019-2025 წწ.) და 2022 წლის სამოქმედო და ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმებით;
- დირექტორის 5/02/2019 №9 ბრძანებით (შეტანილია ცვლილება დირექტორის 14/07/2020 №19 და 17/01/2022 №2 ბრძანებებით) დამტკიცებული შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის პროფესიული განათლების წესდებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმით;
- ინტერვიუირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 5 აპრილის N4 ბრძანებით დამტკიცებულია ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დოკუმენტი, სადაც გაწერილია: ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები; კოლეჯის ადამიანური რესურსის შერჩევის, მოზიდვის და შენარჩუნების მექანიზმები; თანამშრომელთა სამსახურში აყვანის გაფორმების წესი; ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმები; პერსონალის საქმიანობის შეფასება და სამუშაო კმაყოფილების მონიტორინგი; პერსონალის წახალისებისა და განვითარების მიდგომები. კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დოკუმენტი ხელმისაწვდომია და პერსონალისთვის მისი გაცნობა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობაა.

პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებები შესაბამისობაშია შინაგანაწესთან, კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დოკუმენტსა და საქართველოს შრომის კოდექსთან.

აქედან გამომდინარე, პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 5 აპრილის N4 ბრძანებით დამტკიცებული ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დოკუმენტის მეოთხე თავში გაწერილია კოლეჯის ადამიანური რესურსის შერჩევის პროცედურა: შერჩევისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც შიდა, ასევე გარე ვაკანსიები (ღია კონკურსი). ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის დირექტორი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და სასწავლებლის სხვა თანამშრომლებს. დასაქმების მსურველთა შერჩევისას კანდიდატთან გასაუბრებასთან ერთად, დირექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კონკურსით შერჩევის წესიც. დასაქმების მსურველთა გასაუბრების წესით შესარჩევად ვაკანსია ცხადდება სასწავლებლის ვებგვერდზე www.Biu-profcollage.ge. კანდიდატთა კონკურსის წესით შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სასწავლებელი იხელმძღვანელებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. დასაქმების მსურველი პირის სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასწავლებლის დირექტორი, ხოლო კონკურსის შემთხვევაში - სპეციალურად შექმნილი საკონკურსო კომისია. პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევისას დგინდება მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. სასწავლებლის ადამიანური რესურსის შერჩევის მიზანია მოხდეს თანამედროვე უნარების მქონე, ჩართული, მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანამშრომლებით დაკომპლექტება.

დაწესებულების მიერ პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში ასახულია საქართველოს შრომის კოდექსის არსებითი პირობები და იგი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა შრომითი ხელშეკრულების რამდენიმე ნიმუში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებას მოწესრიგებული აქვს პერსონალი პირადი საქმეები.

შესაბამისად, პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 7 თებერვლის №10 ბრძანებით (შესულია ცვლილებები: დირექტორის ბრძანება №25/ს 27 აგვისტო, 2021 წ.) დამტკიცებულია ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა პერსონალის კვალიფიკაცია თანამდებობით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებით, რის საფუძველზეც დასტურდება მათი შესაბამისობა.

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კოლეჯის წარმომადგენლების განცხადებით, თითოეული თანამშრომელი, ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, ჩართულია კოლეჯის სამუშაო პროცესებში. ამის დასადასტურებლად, მათ წარმოადგინეს სხვადასხვა სამუშაო შეხვედრის ამსახველი ფოტო-მასალა და ამასვე ადასტურებს ინტერვიუირების შედეგები. შესაბამისად, პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 5 აპრილის N4 ბრძანებით დამტკიცებულია ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დოკუმენტი;
- შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის შინაგანაწესი;
- დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 7 თებერვლის №10 ბრძანებით (შესულია ცვლილებები: დირექტორის ბრძანება №25/ს 27 აგვისტო, 2021 წ.) დამტკიცებული ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

- სამუშაო შეხვედრების ამსახველი ფოტომასალა;
- ინტერვიუირება.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დოკუმენტის მერვე თავის თანახმად, პერსონალის შეფასების მიზანია უზრუნველყოს სასწავლებლის თანამშრომელთა პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების ობიექტური შეფასება და მასზე დაყრდნობით განსაზღვროს პერსონალის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების შესაბამისი აქტივობები. პერსონალის შეფასების სისტემა გულისხმობს ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას. შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ დირექტორის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასებასთან მიმართებაში შესრულებული სამუშაოს შედეგების მიხედვით (ახალი სამოქმედო გეგმის შედგენამდე) და მოიცავს გასული სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას. შეფასება ხორციელდება სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორების მიხედვით წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებზე დაყრდნობით, დაკვირვებით და ასევე პროფესიული მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე, რისთვისაც გამოიყენება წინასწარ შემუშავებული პერსონალის შეფასების კითხვარი. პროფესიული მასწავლებლების შეფასება ხდება სტუდენტის მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. მიუხედავად დაწესებულების მიერ გაწერილი პერსონალის შეფასების მექანიზმისა, მონიტორინგის წარმოებისას დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ სტუდენტთა მიერ პროფესიული მასწავლებლების შეფასების შევსებული კითხვარები. დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფისთვის არ წარმოუდგენია ადმინისტრაციული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები

და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები. შესაბამისად, პსდ არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას. აღნიშნული საკითხი აისახა დასკვნის პროექტში, როგორც ხარვეზი. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, მტკიცებულებები, პერიოდი და სხვ.

შესაბამისობის რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები დაწესებულებამ მოიყვანოს სისრულეში, მითითებული პერიოდის გათვალისწინებით.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დოკუმენტის მეათე თავის თანახმად, პერსონალის ზრდა-განვითარებისთვის სასწავლებელი ატარებს გამოკითხვებს, ტრენინგებს, კონფერენციებს, აფასებს შესრულებულ სამუშაოს და საჭიროების შემთხვევაში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ახდენს მომზადება-გადამზადებას. აღნიშნული მექანიზმის შესრულების მტკიცებულებად მიიჩნევა ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ფოტოსურათებით და ინტერვიუირება, სადაც პერსონალმა დაადასტურა გამოკითხვების, კონფერენციისა და სხვა მიზნობრივი სამუშაოების ჩატარება. შესაბამისად, პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კოლეჯს 2022 წლის სამოქმედო გეგმაში გასატარებელ ღონისძიებად დასახული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით ღია მეცადინეობების ჩატარება. ასევე, სასწავლო და ადმინისტრაციის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელ აქტივობებში ჩართულობის და მეთოდური კონსულტაციების უზრუნველყოფა (სიახლეების გაცნობა, ტრენინგები ადგილზე, კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებზე გაგზავნა და ანგარიშის მოწოდება, მეთოდური მასალის მიწოდება). შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დოკუმენტის მეშვიდე თავის თანახმად, სასწავლებელი ხელს უწყობს ახალი თანამშრომლების ადაპტაციას სამუშაო გარემოსთან. ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს ადმინისტრაციული პერსონალი და კოლეგები. ახალი თანამშრომელი ეცნობა და ხელს აწერს თანხმობის შესახებ შემდეგ დოკუმენტებზე: სასწავლებლის ,,პროფესიული განათლების წესდება", სასწავლებლის შინაგანაწესი, სამუშაო აღწერილობა, საჭიროების შემთხვევაში პირადი მონაცემების გამოყენება. პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ ახალი თანამშრომელი ეცნობა სასწავლებლის წესდებას, შინაგანაწესს, სამუშაო აღწერილობას და საჭიროების შემთხვევაში, პირადი მონაცემების გამოყენების თანხმობაზე აწერს ხელს. აქედან გამომდინარე, პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კოლეჯის წარმომადგენელთა თქმით, ინიციატივები ძირითად შემთხვევებში ზეპირსიტყვიერად მიეწოდებათ პერსონალის მხრიდან და დაწესებულებაში წახალისებულია აღნიშნული ინიციატივები. კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დოკუმენტის მეცხრე თავში გაწერილია პერსონალის შენარჩუნებისა და წახალისების ფორმები. შესაბამისად, პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დოკუმენტით;
- შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლების 2022 წლის სამოქმედო გეგმით;
- ინტერვიუირებით;
- ვებ-გვერდზე განთავსებული ფოტომასალით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად, დაწესებულების შენობა-ნაგებობის მესაკუთრეა შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი“. სასწავლებელში არსებული მატერიალური რესურსი წარმოადგენს დაწესებულების საკუთრებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დაწესებულებას გააჩნია ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის (დარბაზი ბოლო სართულზე), სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტები, სივრცე არქივისთვის. აქედან გამომდინარე, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

დაწესებულების შინაგანაწესის 41-ე მუხლი წარმოადგენს მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაციას, რის თანახმადაც კოლეჯის თანამშრომელსა და პროფესიულ სტუდენტს თანაბარი უფლება აქვთ ისარგებლონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის ხელმძღვანელის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა/აღჭურვილობა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ კოლეჯის სართულებზე არსებული ფოიეთი, კოლეჯის ეზოში არსებული მოსასვენებელი ადგილებით, შემოქმედებითი საქმიანობისათვის შესაბამისი სივრცეებით. სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მათთვის ხელმისაწვდომია დაწესებულების საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსები. შესაბამისად, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

დაწესებულებას გამოყოფილი ჰყავს დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირი - დამლაგებელი, რომელიც კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 თებერვლის №10 ბრძანებით (შესულია ცვლილებები დირექტორის ბრძანება №25/ს 27 აგვისტო, 2021წ.) პასუხისმგებელია დაწესებულების შიდა პერიმეტრისა და ეზოს სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე და, ამასთანავე, ახორციელებს სხვა მიმდინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დავალებებს. ვიზიტისას ექსპერტებმა დაათვალიერეს შენობა-ნაგებობა/მიმდებარე სივრცე და დასტურდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობა. შესაბამისად, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

დაწესებულების შენობა-ნაგებობა აღჭურვილია გათბობის სისტემით, რომლის გათბობის წყაროსაც წარმოადგენს ელექტროენერგია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გათბობის სისტემა გამოიყურება, როგორც უსაფრთხო მოწყობილობა და ვიზუალურად ჰგავს ცენტრალური გათბობის სისტემას, ის ცალსახად არაა გათბობის ცენტრალური სისტემა, რასაც თავად კოლეჯის წარმომადგენლები ადასტურებენ. დაწესებულების შენობა-ნაგებობა არაა უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც ექსპერტთა მიერ დაფიქსირდა ხარვეზად დასკვნის პროექტში. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, მტკიცებულებები, პერიოდი და სხვ.

შესაბამისობის რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები დაწესებულებამ მოიყვანოს სისრულეში, მითითებული პერიოდის გათვალისწინებით.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

დაწესებულებას ჰყავს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და შემუშავებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების მექანიზმები. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 14 მარტის №20 ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი, სადაც გაწერილია უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ევაკუაციის პროცედურები და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა. შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 5 თებერვლის N19 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის პროფესიული განათლების წესდებაში აღწერილია სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის რეგულაცია და ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია. მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი დირექტორის დავალებით ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას მოდულის დაწყებამდე. თუ მოდულის პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება პრაქტიკის ობიექტზე, კოლეჯი მასალებისა და ნედლეულის შეძენას იმ მოდულის ფარგლებში არ ახორციელებს. მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, მათი გამოყენების მომენტისათვის. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შესაბამის ინსტრუქციებში მითითებული შენახვის წესების დაცვით. სასწავლო წლის დასრულებისას ბუღალტრის მიერ შესაბამისი პირების ჩართულობით ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება. შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.
კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 5 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული განათლების წესდების მე-14 თავი ეთმობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს. თუმცა, დაწესებულების აღნიშნული მექანიზმები არ ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც სხვა დოკუმენტებშია ასახული ზემოხსენებული რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების საკითხი და დაწესებულებას არ წარმოუდგენია მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები და განვითარების გეგმა. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი ექსპერტებმა დააფიქსირეს დასკვნის პროექტში ხარვეზის სახით. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, მტკიცებულებები, პერიოდი და სხვ.
შესაბამისობის რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები დაწესებულებამ მოიყვანოს სისრულეში, მითითებული პერიოდის გათვალისწინებით.

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. ამას გარდა, დაწესებულების შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია პანდუსები. აგრეთვე, დაწესებულებას ჰყავს გამოყოფილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირების დახმარებას გადაადგილებაში.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

დაწესებულების ყველა სასწავლო ფართი, სადაც პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს უხდებათ მუშაობა, უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

დაწესებულებაში არსებული სივრცეების განლაგება ხელს არ უშლის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. შენობაში არ არის ერთმანეთში გამავალი სასწავლო აუდიტორიები და სასწავლო ფართზე პირთა დასაშვებად არ არსებობს რაიმე სახის ბარიერი ან შეზღუდვა.

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დაწესებულების ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკითა და მომხმარებელთათვის განკუთვნილი სამკითხველო სივრცით. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებას ჰყავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი. აქედან გამომდინარე, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უძრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზით;
- შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის შინაგანაწესით;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 14 მარტის №20 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესით;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 5 თებერვლის N19 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის პროფესიული განათლების წესდებით;
- კოლეჯის ვებ-გვერდით: www.biu-profcollage.ge;
- მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ინვენტარიზაციით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- სამკითხველო დარბაზის, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების, ელექტრონული მართვის მოქმედი სისტემისა და კატალოგის დათვალიერებით;
- პროფესიულ სტუდენტებთან/ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.
დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიწერილობა, თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების ვადები ამოწურულია. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ აღარ მიუმართავთ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის ხელმეორედ შემოწმებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, დაწესებულებას არ წარმოუდგენია კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები, რაც ექსპერტთა მხრიდან შეფასდა ხარვეზად და აისახა დასკვნის პროექტში. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, მტკიცებულებები, პერიოდი და სხვ.
შესაბამისობის რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები დაწესებულებამ მოიყვანოს სისრულეში, მითითებული პერიოდის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. დაწესებულებაში მოწყობილია ექთანის კაბინეტი და კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მედდასთან.

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების მექანიზმები. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 14 მარტის №20 ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი, სადაც გაწერილია უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ევაკუაციის პროცედურები და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არ წარმოუდგენია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული საკითხი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაშიც არ არის ასახული. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი ფასდება ხარვეზად.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დაწესებულებას ხელშეკრულებით ჰყავს აყვანილი დაცვის თანამშრომელი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები მოიაზრებს დაწესებულებაში წესრიგის დაცვას. აღსანიშნავია, რომ შენობა-ნაგებობის მთელ პერიმეტრზე არ არის დამონტაჟებული ვიდეოკამერების სისტემა, კერძოდ, გარე პერიმეტრსა და შენობის პირველი სართულის მარცხენა ფლიგელში. დაწესებულების პერიმეტრის დარჩენილი ნაწილი სრულად აღჭურვილია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების ვიდეოკამერებით. ვინაიდან დაწესებულებას გარე პერიმეტრსა და შენობის პირველი სართულის მარცხენა ფლიგელში არ აქვს დამონტაჟებული ვიდეოკამერები, ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას მთელ პერიმეტრზე და დასკვნის პროექტში დაფიქსირდა, როგორც ხარვეზი. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, მტკიცებულებები,

პერიოდი და სხვ.

შესაბამისობის რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები დაწესებულებამ მოიყვანოს სისრულეში, მითითებული პერიოდის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმებით;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით;
- ხელშეკრულებით დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან;
- ინტერვიუირებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში არსებული IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. დაწესებულებაში ხელმისაწვდომია უკაბელო/კაბელიანი ინტერნეტი და კოლეჯი აღჭურვილია სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესებისთვის საჭირო კომპიუტერული რესურსით.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული IT სპეციალისტთან. მასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კოლეჯში ხორციელდება საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვა (პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის განსაზღვრა, ანტივირუსის გამოყენება, ფოსტის სერვერის გამართული მუშაობა, არასაჭირო გზავნილებისაგან დაცვა). კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 7 თებერვლის №10 ბრძანებით დამტკიცებულია დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების

ფუნქციები და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სადაც მე-8 მუხლში გაწერილია IT სპეციალისტის ფუნქციები, თუმცა, დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის რეგულაციები.

განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ გაწეროს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის რეგულაციები.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

დირექტორის 2020 წლის 22 ივლისის №22 ბრძანებით დამტკიცებულია შპს ,,ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელში" პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. ამ წესის თანახმად, სასწავლებლის პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა და მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით. კოლეჯმა წარმოადგინა პერსონალის მხრიდან მათი თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. პროფესიულ სტუდენტთაგან პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის დამადასტურებული დოკუმენტური მტკიცებულებები დაწესებულებას არ წარმოუდგენია, თუმცა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ დაწესებულება მათგან იღებს ნებართვას მათი პერსონალური მონაცემების გამოყენების თაობაზე. მაგალითად, სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტომასალის სოციალურ ქსელებში განთავსების შემთხვევებში.

განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების მხრიდან მათი თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებები წარმოება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას. დაწესებულების IT სპეციალისტის ფუნქციებში განსაზღვრულია საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასება, რაც დასტურდება კიდეც IT სპეციალისტთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

ექსპერტთა ჯგუფის დაწესებულების პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებტან გასაუბრებით იკვეთება, რომ მათთვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დაწესებულებაში პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს დახურული ფეისბუქ-ჯგუფები. ასევე, პერსონალთან კომუნიკაცია ხორციელდება ელ. ფოსტების მეშვეობით. შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 7 თებერვლის №10 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგით (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);
- IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგით;
- უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგით;
- ერთიანი ჯგუფით პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

- პსდ-ს სერვისებისათვის გამიზნული, ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის არსებობისა და პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგით;
- ინტერვიუირებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 დეკემბრის №28 ბრძანებით დამტკიცებულია შპს ,,ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ საქმისწარმოების წესი.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

დაწესებულება იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (e-flow), როგორც შიდა ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. ასევე, დაწესებულება იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა Google, Office 365 და სხვა პლატფორმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, რაც დასტურდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მიმოწერით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს საქმისწარმოების წესით;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით (პროგრამული უზრუნველყოფა);
- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენციით;
- ინტერვიუირებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. ვებ-გვერდზე განთავსებულია: დაწესებულების სტრუქტურა, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ინფორმაცია პერსონალზე, დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები. ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ, მთავარი სიახლეები, პროგრამების ანოტაციები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დაწესებულების მისიაში განსაზღვრული არ არის საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება.

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

კოლეჯს ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის №21 ბრძანებით დამტკიცებულია შპს ,,ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის" საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი. გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში, სხვადასხვა არხების (ვებ-გვერდი, სოც. ქსელები, ელ-ფოსტა, შეხვედრები და სხვ.) შედეგად მიღებულ უკუკავშირს, მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესით;
- დომენური სახელწოდების ფლობით;
- ჰოსტინგი - ვებ სივრცის ფლობით;
- ვებგვერდზე მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგით;
- ვებ-გვერდსა და სოც.ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცის, სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგით;
- ვებ-გვერდით www.biu-profcollage.ge

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5.3. ფინანსური რესურსები

5.3.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინა ბიუჯეტი. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით

ბიუჯეტის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი მიჩნევს, რომ დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას

დაწესებულებას ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული აქვს ფინანსური ანგარიშები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დაწესებულება ყოველი წლის ბოლოს აკეთებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელსაც აქვეყნებს ვებგვერდზე. დაწესებულების წარმომადგენლებთან, მათ შორის ბუღალტერთან, გასაუბრებით დასტურდება, რომ აღნიშნული ანგარიშის და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად, დაწესებულება გეგმავს შემდგომ აქტივობებს, შეფასების შედეგების გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიუჯეტი;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Higher Vocational Qualification in Nursing
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის ბრძანება N28, 27.10.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N3 ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	72 სტუდენტი, მოდულური, ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N3 ა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმისშემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმისშემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		სრულად შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		მეტწილად შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		სრულად შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		სრულად შეესაბამება

შენიშვნა: მეორე სტანდარტი შეფასდა მეტწილად შესაბამისად, რადგან 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისად სტანდარტის მოთხოვნებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შპს ,,ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება". გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება" განხორციელების შესახებ ეფუძნება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ განვითარებას და შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს, როგორც დამსაქმებლების, ასევე სწავლის მსურველთა მხრიდან.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება" დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან. დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები მოცემულია დირექტორის 5/02/ 2019 №9 ბრძანებით (შეტანილია ცვლილება დირექტორის 14/07/2020 №19 და 17/01/2022 №2 ბრძანებებით) დამტკიცებულ, შპს ,,ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის" პროფესიული განათლების წესდებაში და ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას: დაწყებული პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, დასრულებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას და აქედან გამომდინარე, დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტარობის საფუძველზე (კერძოდ, A და B გარემოების ტევადობას სწავლების ერთ ცვლაში განხორციელებისთვის) და პარტნიორ ორგანიზაციებში თითოეულ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკით უზრუნველყოფის შესაძლებლობის მიხედვით. კერძოდ, მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით კოლეჯი შეიმუშავებს პროფესიულ სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დასაბუთებას თითოეული პროგრამისთვის, რომელიც ითვალისწინებს კოლეჯის ინფრასტრუქტურისა და პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობებს, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობას, გარემოების გამტარობას. პრაქტიკის ობიექტთან/პარტნიორ საწარმოსთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს კლინიკური მოდულების განხორციელების შესაძლებლობას და პრაქტიკის ობიექტზე/პარტნიორ საწარმოში მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, კოლეჯის ადმინისტრაციამ კვოტად განისაზღვრა 72 პროფესიული სტუდენტი (თითო მიღებაზე 24 პროფესიული სტუდენტი), რაც შეესაბამება ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით პროფესიულ სტუდენტთა პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან და რელევანტურია სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც მითითებულია მოდულებში, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შპს ,,ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზე პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს სხდომაზე დადებითი შეფასების შემთხვევაში. საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო განათლება" დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს დაარ არის შეცდომაში შემყვანი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ,,საექთნო განათლება" შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შპს ,,ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. იგი ეფუძნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება" მოქმედ ჩარჩო-

დოკუმენტს და შესაბამისობაშია მასთან. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. პროგრამის მოცულობა შეადგენს 180 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის კი - 210 კრედიტს. მოდულები ადაპტირებულია შესაბამისი წესით. შესაბამისად, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის N25 ბრძანებით დამტკიცებული შპს ,,ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- დირექტორის 5/02/ 2019 №9 ბრძანებით (შეტანილია ცვლილება დირექტორის 14/07/2020 №19 და 17/01/2022 №2 ბრძანებებით) დამტკიცებულ, შპს ,,ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის" პროფესიული განათლების წესდებით;
- შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის დირექტორის 2019 წლის 23 აპრილის № 28 ბრძანებით (ცვლილება განხორციელდა ბრძ. № 34 27.10.2021) დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „საექთნო განათლება";
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტით;
- ინტერვიუირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,საექთნო განათლება“ საჭირო მატერიალური რესურსი. კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მიზნებისთვის აქვს A, A/C (სამედიცინო კაბინეტი) და ორი B (პროგრამის მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი) გარემო, სადაც არის მატერიალური რესურსი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

A/C გარემო განკუთვნილია 24 პროფესიული სტუდენტისათვის. აქ განთავსებულია: სამუშაო მაგიდები, სკამები, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა/სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა, კომპიუტერი (პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის), სასწავლო პლაკატები. ვიზიტისას, ექსპერტების მიერ დათვალიერდა A გარემოში განთავსებული მატერიალური რესურსი, რომელიც განკუთვნილია 24 პროფესიული სტუდენტისთვის. დაწესებულების ორი B გარემო, აღჭურვილი პერსონალური კომპიუტერებით პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლისთვის.

დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს ოთხ სამედიცინო კლინიკასთან. მათ თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა. ასევე, მათში მითითებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათები და სხვა ინფორმაცია, რომლებიც ადასტურებს, რომ საერთო ჯამში ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოფილია 24-24 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის გავლა.

უნდა აღინიშნოს, რომ თითო მიღებაზე დაწესებულება იღებს ჯგუფში 24 პროფესიულ სტუდენტს. პროგრამა 3 წლიანია, შესაბამისად, სწავლების მესამე წელს, პროგრამაზე წლიურად 24 პროფესიული სტუდენტის მიღების შემთხვევაში, სტუდენტთა ჯამური რაოდენობა საერთო კვოტის (72) ფარგლებში იქნება. ამ ეტაპზე მოქმედ პროფესიული სტუდენტთა რაოდენობაა 66.

აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (72 პროფესიული სტუდენტი, თითო მიღებაზე 24 პროფესიული სტუდენტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 13 პროფესიული პედაგოგი, მათ შორის 4 ზოგადი მოდულის. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლები აყვანილია დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე. საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული ინფორმაცია განმახორციელებელ პირს რელევანტურს ხდის ამ კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. ექსპერტთა მხრიდან შესწავლილ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, მათი საათობრივი დატვირთვა და შედგა მათთან გასაუბრება. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესისა და მასწავლებლის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, კოლეჯში დასაქმებულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი განათლება და სამუშაო გამოცდილება, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები პროგრამასთან და ინოვაციურ სწავლებასთან დაკავშირებით, მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, აქვთ ინფორმაცია მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა მათი პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე, თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია ბრძანებით. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით (ინტერვიუირებისა და სხვადასხვა დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე), ხელმძღვანელი ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს. კერძოდ, იგი აქტიურადაა ჩართულის სწავლების პროცესში, მუდმივად ეცნობა პროგრამის შიდა და გარე შეფასების მონიტორინგის შედეგებს და პროგრამის სრულყოფის მიზნით ახდენს რეაგირებას ამ შედეგებზე. მუდმივად ამოწმებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, აგვარებს პროგრამასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზაციულ საკითხებს, ესწრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად მეცადინეობებს, ამოწმებს სტუდენტთა პრაქტიკულ მოდულებს პრაქტიკის ობიექტებზე. ორგანიზებას უწევს კალენდარული გეგმების მომზადებას, სასწავლო ლიტერატურის და მასალა-რესურსების შეძენა-განახლებას, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებს,ადამიანური რესურსის განვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 7 თებერვლის №10 ბრძანებით (შესულია ცვლილებები დირექტორის ბრძანება №25/ს 27 აგვისტო, 2021 წ.) დამტკიცებულია კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელისა. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. პროგრამას ხელმძღვანელობს ექიმი-იმუნოლოგი. პროგრამის ხელმძღვანელი არ არის დარგის სპეციალისტი, მას არ გააჩნია დარგობრივი კომპეტენცია, რაც დასტურდება მასთან ინტერვიუირებითაც. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მოცემულობა ექსპერტებმა მიიჩნიეს ხარვეზად და ასახეს დასკვნის პროექტში. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, მტკიცებულებები, პერიოდი და სხვ.

შესაბამისობის რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები დაწესებულებამ მოიყვანოს სისრულეში, მითითებული პერიოდის გათვალისწინებით.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შერჩევითად იქნა გადამოწმებული საგანმანათლებლო რესურსი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,საექთნო განათლება“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ელექტრონული ან მატერიალური, უმეტესად კი ორივე სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

დირექტორის 5/02/2019 №9 ბრძანებით (შეტანილია ცვლილება დირექტორის 14/07/2020 №19 და 17/01/2022 №2 ბრძანებებით) დამტკიცებულ, შპს ,,ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის" პროფესიული განათლების წესდებაში გაწერილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი. კოლეჯს აქვს მზაობა მათ მისაღებად. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. მათთვის სასწავლო პროცესიწარიმართება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებითდადგინდა, რომ ამ ეტაპზე პროგრამაზე სსსმ პირები არ ირიცხებიან.

განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია, კოლეჯმა კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ (საჭიროების შესაბამისად).

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროგრამა ფინანსდება ვაუჩერულად. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის შინაგანაწესით;
- დირექტორის 5/02/ 2019 №9 ბრძანებით (შეტანილია ცვლილება დირექტორის 14/07/2020 №19 და 17/01/2022 №2 ბრძანებებით) დამტკიცებული შპს ,,ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის" პროფესიული განათლების წესდებით;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით;
- პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეებით;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- განმახორციელებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, რომლის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ადგენს რეკომენდაციებს, ანგარიშებს და წარუდგენს დირექტორს. აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება დადასტურდა შექმნილი დოკუმენტაციით: გამოკითხვების შედეგებით, სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების შეკრებისა და ანალიზის დოკუმენტებით, სამოქმედო გეგმებით, ასევე ინტერვიუს შედეგებით.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა და მის შედეგებს იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დირექტორის ბრძანებით N9 (5/02/2019. შეტანილია ცვლილება დირექტორის 14/07/2020 №19 და 17/01/2022 №2 ბრძანებებით) დამტკიცებულია შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის პროფესიული განათლების წესდება, სადაც გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. იგი ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლს. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა კითხვარები და ანგარიშები. დაწესებულება ახორციელებს ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კითხვარებით გამოკითხვას და ამ კვლევების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი დირექტორს წარუდგენს ანგარიშებს. ექსპერტთათვის წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განცხადებით, ცვლილებების საჭიროება არ გამოკვეთილა, თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში დაასაბუთებს ცვლილებების საჭიროებას საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, რაც შემდგომში განხორციელდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის N25 ბრძანებით დამტკიცებული შპს ,,ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით;
- 2019 წლის 5 თებერვლის N9 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების წესდებით;
- ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმით;
- 2018-2021 წწ მიხედვით პროგრამებზე რეგისტრაციის, ჩარიცხვების, კვალიფიკაციის მინიჭების მიხედვით სტატისტიკური მონაცემებით;
- პსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით (მათ შორის საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარებით/კომპეტენციებით პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების კმაყოფილების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი);
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტისგანმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი სასწავლო და კალენდარული გეგმების ანალიზი ადასტურებს, რომ იგი ხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების

წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით. სასწავლო პროცესი დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულსტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულებას გაწერილი აქვს სასწავლო პროცესიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში, ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, ჩატარდა ინტერვიუები, სადაც ისინი გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიულ მასწავლებლებს. სასწავლო პროცესში განხორციელდა სასწავლო გეგმის ოპერატიული ცვლილებები პანდემიის პირობებში, დარგის კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. მოდულებში გამოკვეთილია სწავლების თანამედროვე მეთოდები. პრაქტიკის ობიექტები და დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის თანამედროვე მიდგომებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას, საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ვინაიდან მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილია შესაბამისი მექანიზმები. ამ ეტაპისთვის ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი დაწესებულებას არ ჰყავს, შესაბამისად, ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროებაც არ ყოფილა.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს სამ სამედიცინო დაწესებულებასთან:

1) შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“ - ხელშეკრულება N67. ხელშეკრულება ითვალისწინებს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკის ბაზაზე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, კლინიკაში არსებული მიმართულების შესაბამისად (გათვალისწინებულია კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა 1/7):

კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;

შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია.

ექსპერტთა აზრით, აღნიშნული კლინიკა უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოდულების ფარგლებში პრაქტიკის განხორციელებას.

2) სს „ევექსის ჰოსპიტლები“ - ხელშეკრულება N66. აღნიშნული კლინიკის ბაზაზე იგეგმება შემდეგი კლინიკური მოდულების განხორციელება (1/7პროფესიული სტუდენტი):

კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;

შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები;
შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები.

3) შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“ - ხელშეკრულება N68.
აღნიშნული კლინიკის ბაზაზე იგეგმება შემდეგი კლინიკური მოდულების განხორციელება (1/7 პროფესიული სტუდენტი):
კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.

ექსპერტთა აზრით, აღნიშნული კლინიკა უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოდულების ფარგლებში პრაქტიკის განხორციელებას. პრაქტიკის ხელშეკრულებებში განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა მისაღები რაოდენობა, მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, მოდულები, საათობრივი დატვირთვა, მხარეთა ვალდებულებები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება. ხელშეკრულებაში გაწერილია კოლეჯსა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები და შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტების მოთხოვნებთან. ასევე, კლინიკის ობიექტებიდან მოწოდებული ლიცენზიები ადასტურებს პროგრამის კლინიკური მოდულების მდგრადობას და შესაძლებლობას ყველა კლინიკური მოდული განხორციელდეს. ყველა კლინიკას პროფილური საქმიანობაზე სანებართვო მოწმობა აქვს შესაბამისი სამსახურებიდან (სანებართვო მოწმობის დანართი N000907, N000906, N000026).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულება ადგილზე ახორციელებს პროგრამა „საექთნო განათლების“ მხოლოდ თეორიულ მოდულებს, პრაქტიკულ მოდულებს კი კოლეჯი ახორციელებს პრაქტიკის ობიექტებზე. პრაქტიკის ობიექტები, ხელშეკრულების ფარგლებში, პასუხისმგებლები არიან პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებაზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამისათვის ზოგადი უსაფრთხოების ნორმების არსებობა დაწესებულებაში სრულიად საკმარისია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო განათლება“ , სასწავლო და კალენდარული გეგმებით;
- პრაქტიკის ხელშეკრულებებით;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიით;
- პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებითა და ხელშეკრულებებით;
- პროფესიული განათლების წესდებით;
- შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში, სწავლების მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესებით;
- ნარჩენების მართვის გეგმით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული განათლების წესდებაში. იგი მოიცავს შეფასებასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ასპექტს და ვადებს, შეფასების ადმინისტრირების საკითხებსა და აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურის წესს და სხვ. საერთო ჯამში, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემა, რომელიც აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს: არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროფესიული განათლების წესდებაში. მის საფუძველზე კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით. ვერიფიკაციისას გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმები. ვერიფიკაციის მიზნით, კოლეჯის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ჯგუფი. ვერიფიკაციის ჯგუფში სავალდებულოდ უნდა შედიოდეს იმ დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება. ვერიფიკაცია ხორციელდება პროგრამის დასრულების შემდეგ. ვინაიდან აღნიშნული პროფესიული პროგრამა არ იყო დასრულებული ვიზიტის დროს, შესაბამისად, ვერიფიკაცია მასთან მიმართებით ჯერ არ განხორციელებულა.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რაც დასტურდება კოლეჯის პროფესიული განათლების წესდების საფუძველზე. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ სასწავლო გეგმებითა და მოდულებით;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების წესდებით;
- არქივის წესი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

- შეფასების ინსტრუმენტებითა და შეფასების მტკიცებულებებით;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

- ვიზიტის დღის წესრიგი;
- აქტი შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში მონიტორინგის ვიზიტის თაობაზე;
- შესაბამისობის გეგმა.

თარიღი: 31/05/2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: